დოკუმენტური ოპერაციები

ბანკი ქართუ
CARTU BANK

საბანკო გარანტია

საბანკო გარანტია არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის რისკების მინიმიზების საშუალებას.

იგი წარმოადგენს ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ბანკის მიერ თანხის გადახდის უპირობო ვალდებულებას, პრინციპალის მხრიდან თავისი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

ბანკი ქართუ გასცემს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გარანტიებს.

საერთაშორისო გარანტია შეიძლება იყოს

- გარანტია - საგარანტიო წერილი ბენეფიციარს წარედგინება დამოწმების გარეშე
- დამოწმებული გარანტია - საგარანტიო წერილის დამოწმება ხდება პირველი კლასის ბანკის მიერ

უპირატესობები

- სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი
- ადგილობრივ და საერთაშორისო ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკების შემცირება

ზოგადი პირობები

ვალუტა
₾, $, €, CHF, ₽, £
გარანტიის მოცულობა
განიხილება ინდივიდუალურად
ძირითადი უზრუნველყოფა
• უძრავ - მოძრავი ქონება • თანხით უზრუნველყოფა - კომპანიის/ ფიზიკური პირის პირადი ფულადი რესურსი • ნებისმიერი პირის სახელზე ბანკ ქართუში გახსნილი ანაბარი
დამატებითი უზრუნველყოფა
• პირადი თავდებობა • მესამე პირ(ებ)ის პირადი ან/და კორპორატიული თავდებობა • არამატერიალური აქტივების გირავნობა
დაზღვევა
განიხილება ინდივიდუალურად
პროცენტის დაფარვის სიხშირე/გრაფიკი
განიხილება ინდივიდუალურად

აკრედიტივი

დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს საბანკო პროდუქტს, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველსა (ბანკის კლიენტი) და გამყიდველს შორის ანგარიშსწორების რისკის მინიმიზაციას.

დოკუმენტური აკრედიტივი გულისხმობს გამყიდველის წინაშე ბანკის ვალდებულებას გადაიხადოს აკრედიტივით განსაზღვრული თანხა საქონლის გაგზავნის და/ან მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების დროულად და პირობების შესაბამისად წარდგენისას.

ბანკი იხდის აკრედიტივით განსაზღვრულ თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მხარე შეასრულებს აკრედიტივით მოთხოვნილ ყველა პირობას.

ბანკის მიერ გახსნილი აკრედიტივი შეიძლება იყოს დადასტურებული უცხოური ბანკის მიერ.

უპირატესობები

- დაბალი საპროცენტო განაკვეთი აკრედიტივის მოქმედების პერიოდში
- წინასწარი ანგარიშსწორების თავიდან აცილების საშუალება
- საერთაშორისო ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკების შემცირება
- აკრედიტივის განაღდების შემდგომ, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი სესხზე / საკრედიტო ხაზზე (საჭიროების შემთხვევაში)
- გამყიდველისთვის გარანტირებული ანაზღაურება, მყიდველს - შეძენილი საქონლის ან/და მომსახურების გარანტირებული შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან

ზოგადი პირობები

ვალუტა
₾, $, €, CHF, ₽, £
გარანტიის მოცულობა
განიხილება ინდივიდუალურად
ძირითადი უზრუნველყოფა
• უძრავ - მოძრავი ქონება • თანხით უზრუნველყოფა - კომპანიის/ფიზიკური პირის პირადი ფულადი რესურსი • ნებისმიერი პირის სახელზე ბანკ ქართუში გახსნილი ანაბარი
დამატებითი უზრუნველყოფა
• პირადი თავდებობა • მესამე პირ(ებ)ის პირადი ან/და კორპორატიული თავდებობა • არამატერიალური აქტივების გირავნობა
დაზღვევა
განიხილება ინდივიდუალურად
პროცენტის დაფარვის სიხშირე/გრაფიკი
განიხილება ინდივიდუალურად
ნოტარიულად დამოწმება
განიხილება ინდივიდუალურად

აკრედიტივის შესრულება

ბანკის მიერ აკრედიტივის პირობის შესრულების შემდეგ კლიენტს წარმოექმნება ვალდებულება, რომლის დაფარვაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზით

- კლიენტი (მყიდველი) სრულად ფარავს ბანკის წინაშე არსებულ დებიტორულ დავალიანებას
- დგინდება კრედიტის/საკრედიტო ხაზის გრაფიკი, წინასწარ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადით და დაფარვის პირობით

დოკუმენტური ინკასო

დოკუმენტური ინკასო წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმას, რომლის საშუალებითაც გადახდა წარმოებს სხვადასხვა დოკუმენტის საბანკო არხებით მოძრაობის გზით. მისი მომხმარებელი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი.

დოკუმენტური ინკასოს დროს, მყიდველის მომსახურე ბანკის ძირითადი ფუნქციაა - წარდგენილი დოკუმენტების გადაცემა დოკუმენტური ინკასოს ინსტრუქციის თანახმად.

დოკუმენტების გადაცემა

- D/P – “Documents against payment“ - დოკუმენტები მყიდველს გადაეცემა თანხის გადახდის შემთხვევაში
- D/A – “Documents against acceptance” დოკუმენტები მყიდველს გადაეცემა თამასუქის აქცეპტის საპირისპიროდ, თანხის გადახდის ვადა კი წინასწარ განსაზღვრულია დოკუმენტური ინკასოს ინსტრუქციით. აღნიშნული მოიცავს ოპერაციაში დოკუმენტების თანმხლები ფასიანი ქაღალდის - თამასუქის ჩართვას.

ზოგადი პირობები

ვალუტა
არ არის განსაზღვრული
მოცულობა
განიხილება ინდივიდუალურად
უზრუნველყოფა
არ მოითხოვება
დაზღვევა
არ მოითხოვება
პროცენტის დაფარვის სიხშირე/გრაფიკი
განიხილება ინდივიდუალურად

თბილისი

ცენტრალური სერვისცენტრი
ი. ჭავჭავაძის გამზ. №39ა

ვაკის სერვისცენტრი
ი. აბაშიძის ქ. №24

საბურთალოს სერვისცენტრი
პეკინის ქ. №14ბ

მთაწმინდის სერვისცენტრი
ვ. ვეკუას ქ. №1

ისნის სერვისცენტრი
ქეთევან დედოფლის გამზ./ბოჭორმის ქ. № 50/18

რეგიონები

ბათუმის სერვისცენტრი
ა. გრიბოედოვის ქ. №2

ბათუმის სერვისცენტრის შეკვეთილის განყოფილება
სასტუმრო Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection Hotels

ქუთაისის სერვისცენტრი
ზ. ფალიაშვილის ქ. №4

გორის სერვისცენტრი
სტალინის გამზ. №10

თელავის სერვისცენტრი
ი. ჭავჭავაძის მოედანი

აპრილი, 2023

*8080 (032) 200 80 80
info@cartubank.ge www.cartubank.ge